

# სახალხო ბაზარი

სურათიანი ჟამბიზა

გაზეთის № 920

დამატების № 162

კვირა, 16 თებათვე 1913 წ.

## ფუარო

ნახად მოხტის  
წყარო სალ მთის  
და ზურმუხტის  
ცვრებადა თრთის,  
როს მზე ესვრის ცეცხლის სხივებს  
და ლაყვარდ გულს გაუღვივებს...

\* \*

ტრფობით სავსე, სავსე ღხენით—  
იღუმალის გრძნეულ ენით:

ლაპარაკობს,  
მორაკრაკობს  
და ყვავილებს  
გულს უგრილებს,

ჰანგს უმღერის ვნების ლექსით,  
სწვავს ალერსით... სწვავს ალერსით!..

\* \*

მეც იქ ვდგევარ,  
თავ დახრილი,  
და ცივ ისრით  
გულ-დაჭრილი

ვეკითხები ვერცხლის ზვირთებს:

ჩემსა მწარე  
სულის ტკივილს  
და მწუხარე  
მოთქმას, ჩივილს  
არ მიიღებს, არ იტვირთებს?—  
არ შეისხავს ჩემს ტანჯვის ფრთებს?.

რომ, ოდეს ვარდს  
ჩაურბინოს,  
ჩემი ცეცხლიც  
აგრძნობინოს!..

\* \*

მაგრამ ის კვლავ ტკბილ რაკრაკით,  
მოხტის გრძნეულ ლაპარაკით,  
ხან იმაღვის, ხან კვლავ ჩნდება,—

უცნაურის  
თვისის ლექსით,  
ჯადოსნურის  
ტკბილ ალერსით,

არეს ჰბნედავს და თვით ბნდება...  
მინდვრის გულში ტკბილ სიცოცხლედ

იქსოვება,  
იქარგება...

და ჩემთვის კი არა ჰკენესის,  
ყურადღებას არა ჰხარჯავს;  
ჩემი ტანჯვა მას არ ესმის,  
ჩემი ცეცხლი მას არ სტანჯავს!..

ს. ფაშალიშვილი.

## A M O

ა

მიყვარს ნასარი  
უდროოდ მკენარი,  
მიყვარს ცხოვრების ტკბილი სიზმარი,  
ნაღვლიან სახის ღიმი უსასო,  
შეუცნობ ფიქრის ყოველი ასო,  
სულის სარკვეზე როს იხატება.  
და ვნების ალი  
სანთლის ფერ ფონზე,  
ვით ნაპერწყალი  
ჩამქრალ კოცონზე,  
ხან ჩაიფერფვლის, ხან ისევ კრთება...  
— გაყრის ცრემლები, სასოს წარკვეთით  
საყვარლის ღაწვზე რომ მისვამს წვეთით.  
— ქალი, რომელსაც გულის ნაცვლად ქვა  
მღელვარე მკერდ ქვეშ უტარებია  
— ტუჩი, რომელსაც ვნების აღმურად არავის სუნთქვა  
მიჰკარებია.  
— გრძნობა უაზრო,  
გრძნობა უსაზღვრო,  
სწეულ ბალღივით როცა თვითნებობს.  
— ოცნება მასზე, რაზეც არავინ, არა რას ფიქრობს,  
არას ოცნებობს...

— რითმთა თამაში,  
რითმთა ბგერა,  
ბნელ გამოთქმაში  
აზრის დაქერა.  
ჯერეთ აკვანში ჩამომესმოდა ჩუმი ქვითინი  
ჩანგის სიმისა,  
რითმთა ცქრილი  
რითმთა ტიტინი,  
ვით ფრთათ შრიალი  
ქერუბიმისა.

და იმ დღიდან შევიყვარე  
სიტყვა ტკბილი, სიტყვა მწარე;  
მზის სხივივით გულის მთობი,  
სიტყვა ლალად მონარნარე,  
სიტყვა, გრძნობის წარმომშობი.  
მკვიდრი, ვითა ბაზალტის ქვა,  
მოქანდაკის ხელით თლილი.  
გულის შხამიც და მალამოც  
ელვის ისრად მოსხლეტილი,  
სიტყვა მწარე, სიტყვა ტკბილი...

ბ

მიყვარს ის, რაიც კარგად არ ვიცი  
მართლა მიყვარს, თუ ძილში მეზმანა;  
შეუძლებლობის უტეხი ფიცი,  
შეუძლებლობის სურვილთ ქვეყანა—  
— ყველა ის, რასაც ცვალებადობის  
ქირვეულ გრძნობის  
ბეჭედი აზის,  
წამი სიგიჟის, წამი დათრობის,  
უადრეს ტკბობის  
ტკბილი ექსტაზის.

მე იგი მიყვარს, რაც დასაბამით შეჭფარებია აკრძალ-  
ვის კარებს,  
მე იგი მიყვარს, რაც სხვას არ მოსწონს, სხვა ვერ  
მისწვდება ვერ შეიყვარებს.

კ. აბაშისპირელი.



# კალატოზი

(ბრიუსოვიდან)

— კალატოზო, ჰე, თეთრ-ფეშტამლიანო! რას აკეთებ? მაგ სახლს ვისთვის აშენებ?

— ხელს ნუ გვიშლი, კარგო ადამიანო, საპყრობილეს, საპყრობილეს ვაშენებ.

— კალატოზო, ხელ-მარჯვე ქაფჩიანო, ვინ დააფრქვევს მის კედლებში ცრემლს ცხარეს?

— არა ვანმე შენი მსგავსი, სვიანი, ქურდობამდე არ მიჰყვებართ სიმწარეს.

— კალატოზო, მითხარ, ლამესა გრძელსა ვინ გაათევს ვაითა და კვნესითა?

— ეგებ თვით ჩემს შვილსაც ხვდეს, მუშათ ბედი მიდის სულ ამ წესითა.

— კალატოზო, იცოდე, რომ ის იმ დროს, მოიგონებს, ვინც ციხე ააშენა.

— ჰეი, ფრთხილად! მოშორდი მაგ ხარაჩოს, ეგ ჩვენც ვიცით... გასწი შენს გზაზე შენა!

ბ. ახოსპირელი.



# აღიკალი

ლავკადიო ჰიორნისა

ბუმმეთას დროს (1468—1486) ნოთოს მაზრის თავად ჰაქათეიამა იოშიმუნესთან მსახურებდა ერთი ახალგაზდა სამურიიპ, სახელად თომოთადა. თომოთადა ეჩიზენელი იყო. ჰატარაობისას მოიყვანეს ნოთოს, დაიმიოსის სასახლეში, და სამხედრო განათლება თვით თავადის ზედამხედველობით მიიღო. მეცნიერებაში თომოთადამ ისეთივე ნიჭი გამოიჩინა, როგორც სარაინდო ხელოვნებაში. მისი გულკეთილობა, საუცხოო ზრდილობიანობა და სილამაზე ჰხიბლავდა მის ამხანაგებს. იგი ყველას უყვარდა. უყვარდა თვით თავადსაც.

მეოცე წელიწადში იდგა თომოთადა, როცა საიდუმლო საქმისათვის გაგზავნეს ქიოთოს დიდ დაიმიოსთან, ჰოსოქავა მასამოთოსთან, რომელიც ჰაქათეიამი იოშიმუნეს ნათესავი იყო. რაკი ნაბძანები ჰქონდა ეჩიზენის გზით წასულიყო, თომოთადამ სთხოვა თავადს ნება დაერათო გზად შეეარნა დედანსთან. ნება დართეს.

როდესაც თომოთადა გზას გაუდგა, საშინლად ციოდა. ყველგან დიდი თოვლი იყო. ცხენი კარგი ჰყავდა, მაგრამ მაინც ნელა უზღებოდა სიარული. მოგზაურობა მთიანს, ცარიელ ადგილებში მოუხდა; იშვიათად თუ წააწყდებოდა სადმე მივარდნილ სოფელს. კარგა მანძილი გაიარა თომოთადამ, მოიქანცა. მეორე დღეს დაინახა, რომ სოფლამდე დღისულ ვეღარ მიაღწევდა, შეშინდა. ან კი როგორ არ უნდა შეშინებოდა: ძლიერი ქარ-ბუქი ამოვარდა, ცხენი კი ძალიან დადლილი იყო, ცუდად იყო საქმე. მის სასიხარულოდ უცებ თვალი მოჰკრა სერზე, ტირიფებ შორის, ჩალით დახურულ ქახს. მაშინვე ცხენი გააქანა და, ქახთან რომ მივიდა, კარს მაგრად დაუკაკუნა.

— უჰ, საწყალი!.. ყმაწვილი-სამურია ამისთანა ამინდში— მარტოკა!..— უცქახა დედაბერმა, რომელმაც კაკუნზე გამოალო კარი.— მობძანდით, მობძანდით, ყმაწვილო!..— და სახლში შეიწვიო.

თომოთადა ჩამოხტა, ცხენი, ფარდულში დააბა და შინ შევიდა. ბუხართან აგზავნილებულ ცეცხლს მისხდომოდნენ მოხუცი კაცი და ახალგაზდა ქალი. სტუმრის დანახვაზე იგინი მოწიწებით წაიოდნენ და ალაგი დაუთმეს. მოხუცებულებმა

ხელად შეათბეს ბრინჯის ცოტაოდენი არაყი, სტუმარს ვახშიში მოუშადეს და მოკრძალებით ჰკითხეს მოგზაურობის მიზანი. ქალწული კი ფარდას მიეფარა. თუმცა ღარიბულად იყო ჩაცმული, გრძელი, გაშლილი თმა აწეწილი ეყარა მხათ-ბეჭზე, მაგრამ იმისი საუცხოო, მომჯადოვებელი სილამაზე არ გამოეპარა თომოთადოს თვალს. ჰფიქრობდა და ვერ გაეგო, ასეთი მზეთუნახავი როგორ მოხვედრილიყო ამ მიყრუებულ მთაში.



ოსმალეთის ახალი დიდი ვეზირი, საიდ. ჰალიმ-ფაშა.

— კეთილშობილო სტუმარო, დაიწყო მოხუცმა, მეორე სოფლამდე ჯერ კიდევ შორს არის, თოვლი კი თავისას არ იშლის, ქარბუქიცაა, გზაც ძალიან ცუდია ზე მოგზაურობა საშიში. თუმცა ჩვენი ქოხი თქვენი ღირსი არ არის, თქვენს შესაფერად ვერაფრით გაგიმასპინძლებით, მაგრამ მაინც ურიგო არ იქნებოდა, ღამე აქ გაგეთათ... ცხენს მე მოუვლი.

თომოთადა დასთანძმდა. გულში კი უხაროდა, რომ ახალგაზდა ქალს ერთხელ კიდევ დაინახავდა. მოუტანეს უბრალო, მაგრამ ნოყიერი ვახშიში. ქალიც გამოვიდა, რომ სტუმრისათვის ღვინო დაესხა. რანთ გადაეცვა უბრალო, მაგრამ სუფთა, შინ მოქსოვილი ჩითის კაბა, გრძელი სქელი თმა სწორა გადაევარცხნა.

ღვინის დასასხმელად რომ დაიხარა, თომოთადა განცვიფრდა— ასეთი ღამაში მას ჯერ არ ენახა. თითოეული მისი მოძრაობა ღამაში იყო, მომხიბვლელი.

— ჩვენი აოიალი \*),— დაუწყეს მოხუცებულებმა ბოდისხი ხდა თავის ქალს,— აქ გაიზარდა, მთაში, მარტოდ-მარტო, სასახლის ჩვეულებას არ იცნობს, აპატიეთ უმეცრება და მდაბიობა.

სტუმარი უმტკიცებდა— პირიქით ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ღამაში ქალი შემსახურებო. ამასთანავე თომოთადას არც ის გამოეპარა, რომ იმის შეხედვაზე ქალი წითლდებოდა. ყმაწვილი მას თვალს არ აშორებდა, არც ღვინოს, არც ვახშიმს არ ეკარებოდა.

— მიირთვით რამე, ჩვენო კეთილო სტუმარო, დალიეთ; თუმცა ჩვენი საქმელი გლვებურია, ძალიან ცუდი! — ეპატივებოდა დედაბერი, — ხომ მთლად გათოშილი ხართ!

რომ არ ეწყენინებია, თომოთადამ ვახშიმს ხელი მიჰყო. მაგრამ ქალის სიყვარული უფრო და უფრო ედებოდა. დაეღაპარაკა მას. ქალის ხმა ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც გარეგნობა. თუმცა იგი ყრუ მთებშია გაზრდილი, მაგრამ, უეჭველია, მის მშობლებს ოდესმე დიდა თანამდებობა ექირათ. მიხვრა-მოხვრაც, ლაპარაკიც მოწმობს მის წარჩინებულ ჩამო-

\* მწვენი ტირიფი — ამ სახელს ახლა იშვიათად შეხვდებით. ს-გ.

შავლობასაო.—გაიფიქრა გულში თომოთადამ; თავი ველარ შე-  
იმაგრა და შემდეგი გალექსილი კითხვით მიმართა აოიადის:

„თაძუნეთსურუ,  
ჰანა ქა თოთე ქოსო,  
ჰი უო ქურასე,  
აქენუ ნი ოთორუ  
აკანე სასურან?“



ოხმალეთის დიდი ვეზირი მაჰმუდ-  
შევკეთ-ფაშა, რომელიც 11 ივნისს  
მოჰქლეს. იგი ტომით ქართველი იყო.

(ყვავილად მეჩვენა ის, რაც ზგზაში ვნახე და მეც შევჩერ-  
დი მოხიბლული. არ ვიცო რად ანათებს ნაზად ცისკარი—ღღე  
ზომ არ დამდგარა?\*)

აოიადის ბევრი არ უფიქრია და ლექსითვე უპასუხა:

„იზურუ ჰინო—  
ჰონომექუ ირო უო  
ვალა სოდე ნი!  
თჷუთჷუმაბა ასუ მო  
ქიმიია თომარან“.

(მსურს შევაჩერო ნაზი ცისკარი, სახელოთი დავფარო,  
მსურს ჩემი მბძანებელი მუდამ ჩემთან იყოს!..)

\* \*

თომოთადა მიხვდა, რომ აოიადის გული მოინადირა, მა-  
საც შეუყვარდა. აღფრთოვანებული იყო იმ ლექსით, რომლი-  
თაც ჭაღმა თავისი გრძნობა გამოსთქვა, იმან ხომ, სიყვარულ-  
ზე რომ სიყვარულითვე მიიღო პასუხი, თომოთადა ცამდი  
გააბედნიერა. იგი დარწმუნებული იყო, რომ აოიადისთანა ლა-  
მაზი, ჰკვიანია მთელს ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა.

— ნუ გაუშვებ ხელიდან ბედნიერებას, რომელიც ღმერ-  
თებმა გადმოგიგდეს!..—ჩასძახოდა მას დაჟინებით შინაგანი ხმა.

მოხიბლული იყო თომოთადა, ისე მოხიბლული, რომ  
არც აცივა, არც აცხელა და მშობლებს ქალი სთხოვა ცოლად,  
თან თავისი სახელიც უთხრა, ჩამომავლობა, თანამდებობა ნო-  
თოს თავადის სასახლეში.

მოხუცებულნი გაშტერდნენ, დაიბნენ, მადლობის ნიშნად  
თავი დაბლა დაუქრეს.

— პატივცემულო სტუმარო,—დაიწყო პატარა ყოყმანის  
შემდეგ აოიადის მამამ,—თქვენ დიდი სამსახურის კაცი ხართ,

\*) თომოთადს აზრი ისე შეგვეძლო გადმოგვეცა. დედისაკენ მივდიოდ;  
გზაზე ერთი სულიერი შემომეყარა, მშვენიერი, ვით ყვავილი; მისი გულისათვის  
ამ დღეს აქ ვატარებ... ოჰ, მშვენიერო, რისთვის წითლდები, როცა ნაზი ცისკა-  
რი არ დაწყებულა? იმას ნიშნავს, რომ გიყვარვარ?..

უქვევლია უფრო დიდი შეიქნებით. ღირსი არა ვართ მაგ პა-  
ტივისა. ჩვენ აბა რა თქვენი ტოლი ვართ! ჩვენი ქალი სოფ-  
ლის ერთი უბრალო გოგოა, გაუნათლებელი და უვიცი. რა  
ამის საქმეა კეთილშობილ სამურაის ცოლობა. ამის ფიქრიც  
კი შეუძლებელია... მაგრამ თუ ქალი მოგეწონათ და ისეთი  
კეთილი ბძანდებით, რომ არად ჩაიგდებთ ამის უვიცობასა და  
ტეტიაობას, სიამოვნებით დაგითმობთ მოსამსახურედ. რაც  
განდათ, ის უყავით...

მეორე დილას მზე ჯერ არ ამოსულიყო, ნამქერი ჩადგა,  
ცა ლურჯად კრიალებდა. აოიადი ვარდისფერ ცისკარს ხელს  
აფარებდა, არ უნდოდა გათენებულიყო, მაგრამ მის სატრფოს  
დარჩენა აღარ შეეძლო, თუმცა განშორებაც ეძნელებოდა.  
ყველაფერი რომ მზად იყო სამგზავროდ, თომოთადა ისევ მი-  
უბრუნდა აოიადის მშობლებს.

— უმადურად ჩამთვლით, რომ იმაზე მეტსა გთხოვთ, რაც  
უკვე მივიღე, მაგრამ კიდევ მოგმართავთ: მომეცი თქვენი ქა-  
ლი ცოლად. უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან. თვითონ  
თანახმა გამომეყვს. ახლავე წავიყვან, თუ ნებას მომცემთ.  
მომეცი, მომეცი!.. მუდამ მშობლებივით მეყვარებით. ჯერ  
კი მასპინძლობისათვის ეს მცირე რამ მიიღეთ—და მოხუცებულს  
ოქროთი სავსე ქისა გაუწოდა. მოხუცმა საჩუქარი თავმდაბ-  
ლად უკანვე დაუბრუნა.

— კეთილო სტუმარო, ოქრო ჩვენთვის საჭირო არ არის.  
თქვენ დაგჭირდებათ. დიდი სასიარულო გაქვთ ამ ზამთარში.  
აქ ყიდვა არაფრის შეიძლება და კიდევ რომ ვგინდოდეს მაგ-  
დენ ფულს ვერ დავხარჯავდით... ქალი კი, როგორც ძღვენი,  
თქვენთვის მოგვირთმევია. იგი ახლა თქვენ გეკუთვნით და ჩვე-  
ნი ნებართვა საჭირო აღარ არის. თვითონაც თანახმაა წამოგ-  
ყვეთ მოსამსახურედ და თქვენთან იყვეს, ვიდრე ეს თქვენ-  
თვის სასიამოვნო იქნება. როგორი ბედნიერი ვართ, თან რომ  
მიგყავთ ჩვენი ქალი! ჩვენთვის ნუ შეწუხდებით. აქ, ამ მიყრუ-  
ებულ ალაგას, რიგიანად ვერც კი ჩავაცმევთ, მზითევზედაც



მაჰმუდ-შევკეთის მოკლული ადიუტანტი  
იბრაჰიმ-ბეი.

რომ არ ვილაპარაკოთ. ამასთანავე ჩვენ მოხუცებული ვართ,  
სულ ერთია, ისედაც მალე გავშორდებით ერთმანეთს...

ტყუილად ეჩიჩინებოდა თომოთადა, რამე საჩუქარი მიე-  
ლოთ მათ. დარწმუნდა, რომ მათთვის ფული არ არსებობდა,  
მათთვის შვილის ბედნიერება უფრო სანუკვარი იყო. თომო-  
თადა კიდევ გადაუხადა მადლობა, გამოეთხოვა და აოიადი  
ცხენზე შემოისვა.

— თქვენ კი არა, ჩვენ უნდა გადავიხადოთ, ჩვენო ძვირფასო სტუმარო, მადლობა. გაბარებთ ქალს და დარწმუნებული ვართ კეთილად მოექცევიტ.—უთხრეს მას მასპინძლებმა.

\* \*

(აქ ზღაპარი უცებ სწყდება, რის გამოც ბუნებრივი მიმდინარეობა, სისრულე ეკარგება. არაფერი ვიცით არც თომოთადას დედისა, არც აოიალის მშობლებისა, არც ნოთოს დაიმიოსისა, თითქმის ავტორი უცებ მოიღალა და ზღაპარი ხელ-და-ხელ დაასრულა. ზღაპრის შევსება ან შესწორება ავტორის გემოვნებაზე არ შემოიძლიან, მაგრამ მცირე განმარტება უნდა მოგახსენოთ, ურთმლისოდ ზღაპარი გაუფგებარი იქნება. უეჭველია თომოთადაც არ ასწონ-დასწობა თავისი საქციელი, ისე წამოიყვანა აოიალი ქიოთოში და იმით უბედურებაში გაიხვია თავი. არ ვიცით ისიც, სად სცხოვრობდნენ ისინი შემდეგ).

\* \*

საქმე ისაა, რომ იმ დროს სამურაებს არ შეეძლოთ ცოლის შერთვა, თუ ფეოდალი თავადი არ დართავდა ნებას. თომოთადა კი ნებართვას ვერ მიიღებდა, სანამ საიდუმლო დავალებას არ შეისრულებდა. რაკი ასე იყო საქმე, თომოთადა სულ იმის ფიქრში იყო, ვაი თუ აოიალის სილამაზემ ყურადღება მიიქციოს და იმისი თავი წამართვანო. ამიტომ ქიოთოში რომ მივიდა, თავის სატრფოს ყველას უმაღავდა, არავის აჩვენებდა. მაგრამ თავად ჰოსოქავას ერისთავმა ერთხელ თავალი მოჰკრა აოიალის, გაიგი იმისი და თომოთადას ამბავი და ყველაფერი დაიმიოსს მოახსენა. დაიმიოსი ჯან-ლონით სავსე კაცი იყო, ქალების დიდი მოყვარული. მაშინვე უბძანა, აოიალი სასახლეში მოეყვანათ. აოიალიც მაშინვე მოჰგვარეს.

\* \*

მწარედ რტანჯებოდა თომოთადა, მაგრამ გრძნობდა თავის უძლურებას. ის მხოლოდ შიკრიკი იყო შორეული დაიმიოსისა, აქ კი უფრო ძლიერი თავადის ხელში იყო, რომლის სურვილი უეჭველად უნდა შესრულდებოდა. გრძნობდა იმასაც, რომ ფარული კავშირი დაიჭირა ქალთან მოუფიქრებლად და მით უბედურებაში გაიხვია თავი. ეს ხომ სამხედრო წესით აკრძალული იყო. ერთად-ერთი იმედილა დარჩენოდა, იმედი უკანასკნელი, საკვდრო-სასიცოცხლო—იქნება აოიალის გაგებდა მასთან ერთად გაქცევა. დიდი ფიქრის შემდეგ, თომოთადაც გადაწყვიტა აოიალისათვის წერილი მიეწერა. ეს, რასაკვირველია, საშიში იყო, შეიძლებოდა წერილი თავადს ჩავარდნოდა ხელში; სასახლის ქალთან კი სამიჯნურო წერილის მიწერა მიუტენებელ დანაშაულად ითვლებოდა. მაინც დასწერა ჩინურ ლექსის სახით და შეეცადა როგორმე მიეწოდებინა აოიალისათვის. ლექსი სულ ოცდა რვა ნიშნიანი იყო, მაგრამ ამ მცირე ნიშნებით მან გამოხატა მთელი თავისი დარდი, ტანჯვა და ვნება.

\* \*

ქოში ო-სონ ჰოჯინ უო ოუ;  
როიქუუუ წამიდა უო თარეთე რაქინ უო პითათარუ;  
ქომონ ჰითოთაბი ირითე ფუქაქი ქოთო უმი ნო ჰოთოში  
ქორე იორი შორო ქორე როჯინ.

(ქაბუკი—მბძანებელი მისდევს მზეთუნახავს; ცრემლებმა ტურფას დაუნამეს ტანისამოსი; ავითო სიყვარული მბძანებელისა. იმისი ვარამი ღრმაა, ვით უძირო ზღვა. მე კი მივიწყებული ვარ და მარტოკა მელევა გული).

\* \*

თომოთადაც წერილი დილით გაგზავნა, საღამოთი კი თავად ჰოსოქავასთან დაიბარეს, სასახლეში. ყმაწვილი მიხვდა, რომ უღალატეს. იცოდა, რომ თუ წერილი თავადს ჩაუვარდებოდა ხელში, მას დიდი სასჯელი მოელოდა.

— სიკვდილს ვაღამიწყვეტს,—გაიფიქრა გულში თომოთადაც,—მაგრამ რად მინდა სიცოცხლე, თუ აოიალის წამართმევენ. თუ სიკვდილს მომიხჯიან, ვეცდები მაინც, ჯერ ჰოსოქავა მოვკლა.

გაიქო მახვილი წელში და სასახლეში გაეშურა. სასტუმრო დარბაზში იჯდა თავადი ჰოსოქავა. გარს წარჩინებული სამურაები შემოხვევოდნენ, მაღალი ქუდებით და სავანგებო ტანისამოსით გამოწყობილნი. ყველა ქანდაკებასავით გაშემებულიყო არ ინძროდნენ, კრინტს არა სძრავდნენ. თომოთადაც

მოთადაც მათ წინ გაუარა, რომ თავადის წინაშე მუხლზე დაცემულიყო. სიხუმე იყო, მყუდროება, ვით გრივალის წინ... ჰოსოქავა ტახტიდან ჩამოვიდა, ყმაწვილს ხელი მხარზე დაადო და ლექსის პირველი სტრიქონი წარმოსთქვა:

— „ქოში ო-სონ ჰოჯინ უო ოუ...  
თომოთადაც თავი მაღლა აიღო და დაინახა, რომ ჰოსოქავას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— ისეთი ძლიერია თქვენი სიყვარული,—წარმოსთქვა ჰოსოქავამ,—რომ ჩემი ნათესავის, ნოთოს თავადის მაგიერად, მე გაძლევეთ ნებას ჯვრისწერისას. ქორწილი ახლავე უნდა გავაჩალოთ. სტუმრები შეკრებილი არიან და საჩუქრებიც მზად არის.

თავადმა ანიშნა, ფარდა გადაიხადა. თომოთადაც დაინახა მეორე დარბაზი, სასახლის კაცნი, საზეიმოდ შეკრებილნი, მათ შორის კი აოიალი ჯვრის-საწერად გამოწყობილი... და თომოთადა და აოიალი კვლავ შეერთდნენ, დიდი ქორწილი გადაიხადეს, ქეიფობდნენ, მხიარულობდნენ. ახლად შეუღლებულებმა მრავალი საჩუქარი მიიღეს თავადისა და იმის მახლობელთაგან.

\* \*

თომოთადა და აოიალი ბედნიერად, მშვიდად სცხოვრობდნენ ხუთი წლის განმავლობაში. ერთხელ დილით, როცა აოიალი ქმარს რაღაც საშინაო საქმეებზე ელაპარაკებოდა, უცებ შეჰყვირა, მთლად გაფითრდა, მიიღულა. პატარა ხანს შემდეგ ნელის ხმით წაიღულულა:

— მაშაჰიე, რომ ასე დავიყვირე, ისე უეცრად მეტკინა!.. ჩემო ძვირფასო, ჩვენი კავშირი „კარმა“ იყო. ამას კავშირი უნდა ჰქონდეს ჩვენს წინარსებობასთან. მგონი ეს ბედნიერი კავშირი შეგვაერთებს კვლავ მომავალ ცხოვრებაში. დღევანდელ ჩვენს კავშირს კი აღსასრული დაუდგა. უნდა გავიყარნეთ. გაფიცებ, წამიკითხე ნემბუსუს ლოცვა, რადგანაც ვკვდები...

— რასა ჰბოდავ,—შეჰყვირა შეშინებულმა ქმარმა,—ჩემო კარგო, შენ მხოლოდ ავადა ხარ!.. წამოწექ ცოტა ხანს, კარგად გახდები!..

— არა, არა, მიუგო აოიალიმ, მე ვკვდები. ეს ტყუილი არ არის, ვიცის!.. ახლა შემოძლიან გამოგიტყდენ: მე ადამიანური ქმნილება არა ვარ. ჩემი სული-სულია ხისა; გული ხისა—ჩემი გულია; ჩემი სიცოცხლის წვენი წვენია ტირიფისა. ამ საუბედურო წუთს ვიდაცა მჭრის,—სჭრის ჩემს ტირიფს. მე ვკვდები!.. ტირილიც კი არ შემოძლიან!.. მაღე, მაღე წამიკითხე ნემბუსუს ლოცვა... მაღე... ვაჰ!..

მან სიმწარით ერთი კიდევ შეჰყვირა, სახეზე ხელი მიიფარა ღ პირი იბრუნა, რომ თომოთადას არ დაენახა. უცებ აოიალიმ დნობა იწყო, დაეშვა ძირს, სულ ძირს, მიწაზე. თომოთადაც ხელი მიაშველა, რომ დაეჭირა, მაგრამ დასაჭერი აღარაფერი იყო; ქილობზე ტანისამოსი და თავსაფარი დაეღავა, სხეული კი გაჰქრა...

\* \*

თომოთადაც თმა შეიპარსა, ბუდას საღვთო აღთქმა დაუდო და ბერად შედგა. მიჰყო მოგზაურობას ხელი, მოიარა სახელმწიფოს ყველა მაზრა და ყველა წმინდა ადგილს აოიალის სულისთვის ლოცულობდა. ერთხელ თომოთადა გზად მოხვდა ეჩიზენის მაზრაში და მოინდომა თავის ძვირფას აოიალის მამის სახლი ენახა. ზამთარი იყო, ქარბუკი. როგორც იქნა, იპოვა ის მიყრუებული ალაგი. ბინაც იშოვნა. მაგრამ არსად სჩანდა აოიალიანთ სახლი. იმის ალაგას საში ტირიფის ჯირკი იდგა—ორი ბებერი, ერთიც ნორჩი ხისა. ამით მიხვდებოდით, რომ აქ ოდესმე სახლი მდგარიყო, სამივე ხე დიდი ხნის მოკრილი იყო.

ამ ჯირკების გვერდით თომოთადაც ააგო ძეგლი, მთლად საღვთო წარწერებით დაჰფარა, აუგო წესი და დიდხანს ლოცულობდა აოიალისა და იმისი მშობლების სულის განსასვენებლად.

სან-განიძე.

